ხელშეკრულება N25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 19.04. 2023 წელი

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის შოთა დავითაძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ელიტა 20“ (შემდგომში„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ნაირა მჟავანაძის** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მაგიდის შესყიდვა cpv (39121200) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 350,00 (სამასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სასახლის სამეურნეო ნაწილის უფროსის მოადგილე მამუკა აბულაძე.

3.2. საქონელი ან მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი ლეონიძის ქ. N15

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 5 მაისამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის
ბათუმის სპორტის სასახლე
მის: ქ. ბათუმი ლეონიძის ქ. N15
საიდენტიფიკაციო კოდი: 445404884
სახელ.ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი N 707797519

მიმწოდებელი:

შპს ,,ელიტა 20“
მის:ქ. ბათუმი
საიდენტიფიკაციო კოდი:446967943
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BACAGE22
ა/ა GE93BG0000000756580900

დირექტორი: /შ.დავითაძე/

დირექტორი: /ნ.მჟავანაძე/

№	დაკვეთის დასახელება	CPV	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	მაგიდა	39121200	ცალი	1	350	350
	ჯამი					**350**

დირექტორი: /შ.დავითაძე/ დირექტორი: /ნ.მჟავანაძე/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შ.პ.ს ,,ელიტა 20’’ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

1. დირექტორი შოთა დავითაძე
2. სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა აბულაძე;
3. სამეურნეო სამსახურის უფროსი ბესიკ აბულაძე;